

თავდაცვის კოდექსის დისკრიმინაციული ჩანაწერის ანალიზი

სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტსა და თავდაცვის კოდექსის პროექტში მოცემული ზოგიერთი ცვლილება სავალდებულო სამხედრო სამსახურისა და ალტერნატიული შრომითი სამსახურის, აგრეთვე სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შესატანი ინფორმაციის შესახებ. სამოქალაქო პლატფორმის პოზიციით, ხსენებული ცვლილებები არ შეესაბამება თანასწორობის უფლებისა და რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს.

1. დაგეგმილი ცვლილებები

2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით მიიღო „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონი და თავდაცვის კოდექსი. აღნიშნული კანონებით განსხვავებულად რეგულირდება გაწვევა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურსა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რომელსაც თავდაცვის კოდექსი ახლებურად წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს უწოდებს. უფრო კონკრეტულად, ახალი თავდაცვის კოდექსით „წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში სავალდებულო გაწვევას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი“.¹ ამასთანავე, ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლებდება პირი, რომელმაც მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური.² რაც შეეხება გაწვევის გადავადებას, თავდაცვის კოდექსში, მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით,³ გადავადების საფუძველებიდან ამოღებულია მღვთელთმსახურობა და სასულიერო

¹ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის 62-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, იხ.: [მომდებნე კანონმდებლობა \(parliament.ge\)](#) [უკანასკნელად ნანახია 21.09.2023].

² იქვე, 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტი.

³ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

სასწავლებელში სწავლა.⁴ გარდა ამისა, იცვლება არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გასაწვევ პირთა წრეც. კერძოდ, „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციით, „არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაიწვევენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე“.⁵ ამ რეგულაციისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ კანონში დაგეგმილი ცვლილებები მშვიდობიან პერიოდში ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას ასევე უქვემდებარებს სასულიერო პირს.⁶

ახალი „თავდაცვის კოდექსით“ გათვალისწინებული კიდეც ერთი სიახლე სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით შესაგროვებელ ინფორმაციას ეხება. კერძოდ, კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობისა და მღვდელმსახურების შესახებ.

2. ცვლილებების შეფასება თანასწორობის უფლებასთან მიმართებით

ცვლილებების კონსტიტუციურობა

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებებით იქმნება ისეთი მოწესრიგება, რომლითაც სამხედრო სამსახურის გადავადება აღარ შეეძლება და ალტერნატიულ შრომითი სამსახურის გავლა მოუწევთ სასულიერო პირებს, ოღონდ ეს მოწესრიგება ვერ გავრცელდება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის (შემდგომში მართლმადიდებელი ეკლესია) სასულიერო პირებზე. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, მართლმადიდებელი ეკლესიის

⁴ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵ „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

⁶ „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის იხ.: [მოძებნე კანონმდებლობა \(parliament.ge\)](http://parliament.ge) [უკანასკნელად ნანახია 21.09.2023].

სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან,⁷ ხოლო სამხედრო ვალდებულება მოიცავს როგორც სამხედრო სამსახურს, ისე ალტერნატიულ შრომით სამსახურს. როგორც „ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ მოქმედი კანონის, ისე მიღებული ცვლილებების თანახმად, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა, როგორც სამხედრო სამსახურის შემცვლელი ალტერნატივა.⁸ ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური ცვლის არა მთლიანად სამხედრო ვალდებულებას, არამედ სამხედრო ვალდებულების მხოლოდ სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდას“.⁹ შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი კონსტიტუციური შეთანხმებით თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისგან, ანუ როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული შრომითი სამსახურისგან, რადგან კონსტიტუციური შეთანხმება იერარქიულად უფრო მაღლა დგას და მოქმედების ძალით უპირატესია კანონზე,¹⁰ მათ შორის „ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონსა და მიღებულ თავდაცვის კოდექსზე.

ზემოაღნიშნული მოწესრიგების პირობებში, წარმოიქმნება დიფერენციაცია ანუ განსხვავებული მოპყრობა, ერთი მხრივ, სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებულ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და, მეორე მხრივ, ყველა სხვა რელიგიის სასულიერო პირებს შორის, რომლებსაც დაევალებათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. კერძოდ, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის თანახმად, სხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირებს დაევალებათ 12 თვის განმავლობაში

⁷ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸ „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულა და მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი; „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის № 1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

¹⁰ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

ალტერნატიული სამსახურის მოხდა კონკრეტულ სპეციალიზებულ სფეროებში.¹¹ შესაბამისად, ამ 12 თვის განმავლობაში მათ მოუწევთ გარკვეული დრო დაუთმონ ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესრულებას, რაც მათ შეუზღუდავს რელიგიური საქმიანობის განხორციელების დროს/შესაძლებლობას. მათგან განსხვავებით, ასეთი შეზღუდვა არ შეეხება მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს, გათავისუფლებული არიან რა ალტერნატიული სამსახურისგან. შესაბამისად, სახეზეა მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და სხვა სასულიერო პირებს შორის არათანასწორი მოპყრობა რომელიც, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცულ თანასწორობის უფლებას. ამისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, განსხვავებულ მოპყრობას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი (დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი და იყოს ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგი, ნაკლებად მზღუდავი და და პროპორციული საშუალება).

მოცემული შემთხვევის მსგავს საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, განსხვავებული მოპყრობის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად შესაძლოა განიხილებოდეს საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების უზრუნველყოფა, რაც მითითებულია კონსტიტუციის მე-8 მუხლში. ეს საკითხი უკვე განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, კონსტიტუციის მე-8 მუხლის „მიზანს არ წარმოადგენს მართლმადიდებლობის რელიგიური პრივილეგიების განმტკიცება და ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას“.¹² სასამართლოს განმარტებით, ეკლესიის როლის აღიარებისთვის არსებული დიფერენცირების მართლზომიერების შეფასებისას „უნდა დადგინდეს,

¹¹ „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის 1-ლი მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან - ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-23.

რამდენად მოითხოვს საქართველოს ისტორიაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება მართლმადიდებელი ეკლესიისთვის განსახილველი პრივილეგიის მინიჭებას¹³. სასამართლომ არ გამოიცილა დიფერენცირების მართლზომიერება მაშინ, „როდესაც ხელშეწყობის ესა თუ ის ღონისძიება ობიექტურად და რაციონალურად იქნება დაკავშირებული ეკლესიის ღვაწლთან და კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებთან“¹⁴. მოცემულ შემთხვევაში, დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებით სხვა რელიგიების გაერთიანებების სასულიერო პირებს ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევთ, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს აქვთ პრივილეგია სამხედრო და ალტერნატიული შრომითი სამსახურისგან სრულად გათავისუფლების სახით. ასეთი პრივილეგირება ვერ აიხსნება საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებით. გაუგებარია, თუ როგორ გამომდინარეობს საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებიდან ამ ეკლესიის სასულიერო პირების სრულად გათავისუფლება სამხედრო ვალდებულებისგან, სხვა სასულიერო პირებისა კი - არა. ასეთ დიფერენციაციასა და მართლმადიდებელი ეკლესიის ზემოაღნიშნულ როლს, ისტორიულ ღვაწლს შორის არ იკვეთება მყარი, გარდაუვალი ბმა, რომელსაც ითხოვს საკონსტიტუციო სასამართლო. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სამლოცველო ნაგებობის მშენებლობის და იქ მსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, წარმოადგენდა მოსარჩელე რელიგიური ორგანიზაციების ორდინალური საქმიანობის ნაწილს¹⁵. შესაბამისად, ნებიერი მათგანი თანაბრად იყო დაინტერესებული ესარგებლათ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეღავათით და საქართველოს საპატრიარქოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას არ გააჩნდა მყარი, გარდაუვალი კავშირი ეკლესიის ისტორიულ ღვაწლთან¹⁶. ანალოგიური

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან - ადვენტიტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

¹⁴ იქვე, II-35.

¹⁵ იქვე, II-36.

¹⁶ იქვე, II-36.

მსჯელობით, საპატრიარქოს სასულიერო პირის მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანების სასულიერო პირს აქვს თანაბარი ინტერესი, რომ ორდინალურ რელიგიურ საქმიანობას არ მოწყდეს ალტერნატიული სამსახურის გამო. შესაბამისად, ამ სასულიერო პირებს შორის სადავო დიფერენციაციის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება საპატრიარქოს განსაკუთრებული როლის აღიარება, ლეგიტიმური მიზნის არარასებობის პირობებში კი დიფერენციაცია არღვევს თანასწორობის უფლებას.

თავდაცვის კოდექსის პროექტის განმარტებით ბარათზე დაყრდნობით, დიფერენციაციის ლეგიტიმურ მიზნად ასევე შეიძლება დასახელდეს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მსურველთა რაოდენობის შემცირება.¹⁷ იმ შემთხვევაში, თუ სადავო დიფერენციაცია მიმართულია კონკრეტულად წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისათვის და არა მთლიანად სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდების შემცირებაზე, მაშინ ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება არ არის სადავო დიფერენციაცია, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების გათავისუფლება სამხედრო ვალდებულებისგან და სხვა სასულიერო პირებისთვის ალტერნატიული სამსახურის დავალდებულება. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული მოწესრიგების პირობებშიც არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებს შეეძლებათ სამხედრო სამსახურის მაგივრად, არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გავლა, ანუ მაინც ექნებათ შესაძლებლობა, რომ არ მოიხადონ და თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს. შესაბამისად, წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მსურველთა რაოდენობის შემცირების მიზანი ვერ იქნება მიღწეული. ამიტომ, ამ მიზნის შემთხვევაში სადავო დიფერენციაცია არ არის მისი მიღწევის გამოსადეგი საშუალება და არღვევს თანასწორობის უფლებას. მეორე მხრივ, თუ მიზანია არა უშუალოდ სამხედრო სამსახურისთვის, არამედ მთლიანად სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდების მსურველთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება, მაშინ არც ამ შემთხვევაში არ არის ზემოხსენებული დიფერენციაცია მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება. კერძოდ, სადავო დიფერენციაცია სამედრო

¹⁷ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ პროექტის განმარტებითი ბარათი, იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/322960> [უკანასკნელად ნანახია 12.09.2023].

ვალდებულების მქონე პირთა რაოდენობას ზრდის იმ პირთა წრით, რომლებიც არიან 18-დან 27 წლამდე საქართველოს მოქალაქეები და ამავდროულად მართმადიდებლური ეკლესიისგან განსხვავებული რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირები. ამ პირთა რაოდენობა საქართველოში 18-დან 27 წლამდე მართმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა რაოდენობაზე ნაკლებია იმის გათვალისწინებით, რომ მართმადიდებელი ეკლესია საქართველოში დომინანტური რელიგიური ორგანიზაციაა. მაშინ, როდესაც ლეგიტიმური მიზანია სამხედრო ვალდებულებისთვის თავის ამრიდებელთა რაოდენობის/წრის მაქსიმალურად შემცირება, სადავო დიფერენციაციით, ამ მიზნის საპირისპიროდ, სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლებიან არა რიცხობრივად მცირე სხვა რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირები, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, ანუ რიცხობრივად უფრო დიდი ჯგუფი. შედეგად მიიღწევა არა სამხედრო ვალდებულებისთვის თავის ამრიდებელთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება, არამედ საპირისპირო მდგომარეობა, როცა სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებულია სწორედ სასულიერო პირთა ის ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად აღემატება ამ ვალდებულების მქონე სასულიერო პირთა ჯგუფს.

თავდაცვის კოდექსის პროექტის განმარტებით ბარათზე დაყრდნობით, სადავო დიფერენციაციის ლეგიტიმური მიზანი ასევე შეიძლება იყოს, რომ გამოირიცხვოს „არაკეთილსინდისიერი ფიქტიური „რელიგიური ორგანიზაციების“ შესაძლებლობა დაეხმარონ ცალკეულ პირებს თავი აარიდონ გაწვევას“.¹⁸ ამ მიზანში ნაგულისხმევია, რომ ყველა რელიგიური ორგანიზაცია, გარდა მართმადიდებელი ეკლესიისა, წარმოადგენს „არაკეთილსინდისიერ, ფიქტიურ“ რელიგიურ ორგანიზაციას, რადგან, საპატრიარქოს გარდა, ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო პირებს მოუწევთ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. ასეთი შინაარსის მქონე მიზანი ვერ იქნება განხილული უფლების შეზღუდვის ღირებულ, ლეგიტიმურ ინტერესად, ვინაიდან ეწინააღმდეგება რწმენის თავისუფლებას და რელიგიური ორგანიზაციების მიმართ ნეიტრალურობას, რომლის უზრუნველყოფაც ევალება სახელმწიფოს.¹⁹

¹⁸ იქვე.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან - ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ

საერთაშორისო მიდგომა ანალოგიური პრობლემის მიმართ

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მხრივ, რელიგანტურია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, რომლის მიმართ არსებული საერთაშორისო მიდგომა შეიძლება ანალოგიის წესით მივუსადაგოთ მოცემულ შემთხვევაში სადავო დიფერენციაციას.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება გამომდინარეობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-18 მუხლიდან (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით).²⁰ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი წინააღმდეგობის მქონე პირები უბრალოდ გაათავისუფლონ სამხედრო სამსახურისგან დამატებითი მოთხოვნების, მათ შორის ალტერნატიული სამსახურის მოხდის, გარეშე.²¹ ამავე მიზნით, სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ შემოიღონ ალტერნატიული სამსახური სამხედრო სამსახურის მაგივრად,²² მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება გარანტირებული უნდა იყოს პაქტის მე-18 მუხლისა და 26-ე მუხლის, ანუ თანასწორობის, დაცვით.²³ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, დაუშვებელია რწმენის ბუნებაზე დაფუძნებული დიფერენციაცია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონეთა შორის.²⁴ ამასთანავე, ის, რომ კონკრეტული რელიგიის მიმდევარია მოსახლეობის უმრავლესობა, არ უნდა

კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია”, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი”, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-36.

²⁰ CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), paragraph 11, please view: <https://www.refworld.org/docid/453883fb22.html> [last accessed 12.09.2023].

²¹ Analytical report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Conscientious objection to military service, 2017, A/HRC/35/4, paragraph 20, please view: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G17/108/71/PDF/G1710871.pdf?OpenElement> [last accessed 12.09.2023].

²² Ibid.

²³ Ibid, paragraph 8.

²⁴ CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), paragraph 11.

იწვევდეს პაქტის უფლებების, მათ შორის მე-18 მუხლის დარღვევას და არც სხვა რელიგიის მიმდევართა ან რწმენის არმქონეთა დისკრიმინაციას.²⁵

ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლების უზრუნველყოფა შეიძლება როგორც ალტერნატიული სამსახურით, ისე სამხედრო სამსახურიდან პირდაპირ გათავისუფლებით დამატებითი მოთხოვნების, მათ შორის ალტერნატიული სამსახურის მოხდის, გარეშე, მაგრამ ორივე გზა უნდა იყოს არადისკრიმინაციული. ამ მხრივ, რელევანტურია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმე „Henricus Antonius Godefriedus Maria Brinkhof vs the Netherlands“. საქმე ეხება ნიდერლანდებში იმჟამად მოქმედ მოწესრიგებას, რომლითაც იეჰოვას მოწმეები მთლიანად თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისგან, ხოლო კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე სხვა პირებს არ ჰქონდათ ასეთი სამართლებრივი შესაძლებლობა და ევალებოდათ ალტერნატიული, შემცვლელი სამსახურის გავლა.²⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ზოგადად განმარტა, რომ სამხედრო სამსახურისგან კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონეთა მხოლოდ ერთი ჯგუფის გათავისუფლება და ამ გამონაკლისის არგავრცელება დანარჩენებზე არააგონივრულია.²⁷ სახელმწიფო თანასწორად უნდა მოეპყრას ყველა პირს, რომელსაც თანაბრად ძლიერი წინააღმდეგობა აქვს სამხედრო სამსახურისა და ალტერნატიული (შემცვლელი) სამსახურის მიმართ.²⁸ კომიტეტმა ურჩია მოჰასუხე სახელმწიფოს, რომ გადაეხედა თავისი რეგულაციისთვის, რათა გამოესწორებინა ამ თვალსაზრისით არსებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.²⁹ განხილული საქმის გარემოებების მსგავსად, მოცემულ შემთხვევაში ერთი კონკრეტული ჯგუფის წევრები, კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო პირები სრულად თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისგან, როდესაც სხვა სასულიერო პირები არ თავისუფლდებიან და ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევთ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, სასულიერო პირებს შორის ასეთი

²⁵ CCPR General Comment No. 22: Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), paragraph 9.

²⁶ Human Rights Committee's Views on Communication No. 402/1990 submitted by Henricus Antonius Godefriedus Maria Brinkhof against the Netherlands, CCPR/C/48/D/402/1990, 29 July 1993, paragraph 9.2, please view: <https://www.refworld.org/cases,HRC,4a3a3ae913.html> [last accessed 12.09.2023].

²⁷ Ibid, paragraph 9.3.

²⁸ Ibid, paragraph 9.4.

²⁹ Ibid, paragraph 9.4.

დიფერენციაცია დისკრიმინაციულია და არღვევს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციას.

3. ცვლილებების შეფასება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით (აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების იძულება)

პრობლემურ და, უფლებრივი თვალსაზრისით, დამაზიანებელ ფორმულირებას შეიცავს “თავდაცვის კოდექსის” 97-ე მუხლიც. ამ მუხლის მე-5 პუნქტის “კ” ქვეპუნქტის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეს რეგულაცია ვრცელდება არამხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა გააჩნიათ სამხედრო სამსახურთან, არამედ, ყველა პირზე, ვინც ირიცხება სამობილიზაციო რეზერვში, ანუ, ყველა პირზე 18-დან 60 წლამდე.

ადამიანის იძულება/დავალდებულება, გაამჟღავნოს თავისი რელიგია/აღმსარებლობა, წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დარღვევას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (მაგალითად, საქმეები *Sinan Işık v. Turkey*, 2010 (§ 37) და *Mockutė v. Lithuania*, 2018 (§ 117)). სასამართლომ განმარტა, რომ აღმსარებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილულ საქმეზე *Sinan Isik v. Turkey* მომჩივანის ერთ-ერთი პრეტენზია შეეხებოდა მის ვალდებულებას, საიდენტიფიკაციო დოკუმენტზე, რომელიც ხშირად გამოიყენება ყოელდღიურ ცხოვრებაში, მითითებული ყოფილიყო მისი რელიგიური მრწამსი. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებას აგრეთვე აქვს ნეგატიური ასპექტი, კერძოდ, პირის უფლება, არ იყოს ვალდებული, გაამჟღავნოს თავისი რელიგია ან რწმენა და არ იყოს ვალდებული, იმოქმედოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მიხვედრა, რომ მას აქვს ან არ აქვს ეს რწმენა. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები არ არიან უფლებამოსილი, ჩაერიონ პირის სინდისის თავისუფლების სფეროში და ეცადონ, გამოარკვიონ მისი რელიგიური რწმენა ან დააკისრონ მას ამ რწმენის გამხელის ვალდებულება”(§41). სასამართლოს განმარტებით, „ამ შემთხვევაში სასწორზე

დევეს ადამიანის უფლება, არ გაამჟღავნოს თავისი რელიგია ან რწმენა, რომელიც პირის რელიგიის თავისუფლების შინაგან სფეროს (forum internum) მიეკუთვნება. ეს უფლება რელიგიისა და სინდისის თავისუფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია. კონვენციის მე-9 მუხლის იმგვარად განმარტება, რომლის თანახმადაც, დასაშვებია იქნებოდა რელიგიის ან რწმენის გამხელისკენ მიმართული ყოველგვარი იძულება, ნამდვილ შინაარსს გამოაცლიდა რელიგიის თავისუფლებას, რომლის დაცვასაც კონვენციის მე-9 მუხლი ემსახურება”(§42).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაც მოიცავს არამხოლოდ ადამიანის აღმსარებლობის თავისუფლებას, არამედ უფლებას, არ გაამჟღავნოს მისი შინაარსი. კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, გაუგებარია, თუ რა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას უნდა ემსახურობდეს სამობილიზაციო რეჟერვის აღრიცხვისას პირის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. თუკი ამ რეგულაციის მიზანი, რეჟერვში ჩარიცხული პირების მიერ სარეჟერვო სამხედრო სამსახურის გავლისას ინდივიდუალური რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებაა, ამ შემთხვევაშიც მოცემული რეგულაცია ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების ტესტის გამოსადეგობის კომპონენტს, ვინაიდან ის ფაქტი, რომ პირი ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარია, თავისთავად არაფერს გვეუბნება მისი რელიგიური საჭიროებების შესახებ, ვინაიდან მისი რელიგიური პრაქტიკა, შესაძლოა, განსხვავებული იყოს კონკრეტული რელიგიის ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკისაგან.

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” კანონის თანახმად, პირის რელიგიური მრწამსის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია და მისი შეგროვება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია დასაშვებია, ხოლო სამობილიზაციო რეჟერვის აღრიცხვისას ამ მონაცემის შეგროვება, რასაც თავდაცვის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს, შეუძლებელია ემსახურობდეს რაიმე ლეგიტიმურ მიზანს.

მიგვაჩნია, რომ “თავდაცვის კოდექსის” პროექტის 97-ე მუხლის შემოთავაზებული რედაქცია ემსახურება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების შესახებ პერსონალური

ინფორმაციის არამიზნობრივად შეგროვებას, ლახავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და საქართველოს კონსტიტუციით დაწესებულ სტანდარტს.